

კონკურსი ინჟინერ-მშენებლის პოზიციაზე

დასახელება: ინჟინერ-მშენებელი

სტატუსი: შტატგარეშედ დასაქმებული

ვაკანსიის რაოდენობა: 1

მომწოდებელი: სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია

გამოცხადება: 13 ივნისი, 2023 წ.

განცხადებების მიღების ვადა: 13 ივნისი - 20 ივნისი, 2023 წ.

კანდიდატის შერჩევა - 21 ივნისი - 23 ივნისი, 2023 წ.

სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია აცხადებს ვაკანსიას ინჟინერ-მშენებლის შტატგარეშე თანამშრომლის პოზიციაზე, ობსერვატორიის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის მიზნით.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება შემდეგ ობიექტებზე: ტელესკოპ აზტ11-ის და სასადილოს შენობები, ასევე ტერიტორიის პერიმეტრზე ღობის და ჭიშკრის მოწყობა.

ობიექტების მდებარეობა: მთა ყანობილი (ადგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი, სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორია).

ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:

- ✓ ობიექტებისა და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი;
- ✓ მშენებლობის მიმდინარეობისას მის მიერ გამოვლენილი ხარვეზების/დეფექტების აღრიცხვა და ობსერვატორიის ადმინისტრაციის ინფორმირება;
- ✓ შესრულებული სამუშაოების პროექტთან და ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- ✓ მშენებლობის გეგმა-გრაფიკის შესრულების მონიტორინგი;
- ✓ შესრულების აქტების შემოწმება;
- ✓ ობიექტებზე მიმდინარე ცვლილებების შესწავლა და დამუშავება;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ✓ უმაღლესი განათლება - ინჟინერ-მშენებელი;
- ✓ სამშენებლო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
- ✓ არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზების კითხვის კომპეტენცია;
- ✓ სამშენებლო წესების და ნორმების ცოდნა;
- ✓ საოფისე პროგრამების ცოდნა (Microsoft Office).

პიროვნული კომპეტენციები/უნარები:

- ✓ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ✓ ორგანიზებულობა, დისციპლინირებულობა;
- ✓ შესასრულებელ სამუშაოზე, დეტალებსა და შედეგზე ორიენტირებულობა;
- ✓ ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

სამუშაო პირობები:

ხელშეკრულების მოქმედების ვადა: დადებიდან (ივნისი) 2023 წლის ბოლომდე.

სამუშაოს განაკვეთი და დრო: სრული, შინაგანაწესის შესაბამისად.

სამუშაო ადგილი: მთა ყანობილი (ადგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი)

ანაზღაურება: შეთანხმებით.

კონკურსის ეტაპები:

საბუთების გადარჩევა;

გასაუბრება.

დაინტერესებულმა პირებმა CV უნდა გამოგზავნონ: vacancy@abao.ge

შენიშვნა: დაინტერესებული პირის მიერ CV-ის გამოგზავნა გულისხმობს მის მიერ პერსონალური მონაცემების ობსერვატორიისთვის გადაცემას და თანხმობის გაცხადებას აღნიშნული მონაცემების დამუშავების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია დამსაქმებლის მიერ დამუშავებული/შენახული იქნება მხოლოდ ვაკანსიისთვის კანდიდატის შერჩევის, შესასრულებელ სამუშაოსთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენის და შესაძლო შრომითი ურთიერთობის წარმოშობის მიზნით, შრომითი ურთიერთობის მთელი პერიოდის განმავლობაში. დამსაქმებლის მხრიდან, ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის, პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთა/თანამშრომელთა მიერ.